რუსული ტერორი - საბჭოთა კავშირიდან „დონბასამდე“

ლელა ოჩიაური

საკვანძო სიტყვები: *საბჭოთა ტერორი, სტალინი, ომი, ძალადობა, რუსეთი, უკრაინა*

კულტურის ისტორიაში არის შემთხვევები, როდესაც ხელოვნების დამოუკიდებელი ნიმუში ქმნის ეპოქის პანორამას, მოვლენათა მასშტაბურ სურათს, მათ განზოგადებულ მოდელად იქცევა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ასეთი ნაწარმოებები სცილდებიან კონკრეტულ ჩარჩოებს, არ აღიქმებიან და არ განიხილებიან როგორც მხოლოდ ფილმი, ფერწერული თუ პროზაული ქმნილება, რადგან არსებული საზღვრები მათში მოქცეულ სათქმელს, პრობლემებს, კონცეფციებს ვერ იტევს და ყველაფერი სხვა მასშტაბში გადადის.
ასეთია ლატვიელი პოლიტოლოგის, ისტორიკოსისა და რეჟისორის, ედვინს შნორეს მრავალმხრივ გახმაურებული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური კინოსურათი, ფილმის ფორმატში მოქცეული ისტორიული კვლევა-დოკუმენტი, „საბჭოეთის ისტორია“ (2008) და უკრაინელი რეჟისორის, სერგეი ლოზნიცას, ასევე მრავალი კუთხით ცნობილი და აღიარებული, დოკუმენტურ-მხატვრული ფილმი „დონბასი“ (2018).
ხელოვნების ამ ნაწარმოებებს ვერ გავაანალიზებთ მხოლოდ როგორც ფილმებს და მათზე, როგორც მხოლოდ „დამოუკიდებელ შემოქმედებით პროდუქტზე“ ვერ ვისაუბრებთ, რეალობის ასახვის, პრობლემატიკის, ისტორიული და თანამედროვე კონტექსტის გამო. და ამავე დროს, რუსეთის ხელისუფლების მწვავე და აგრესიული რეაქციის მიხედვით, რაც ტოტალიტარული ქვეყნისთვის დამახასიათებელი ტერორის, აკრძალვის, ცენზურისა და მეტიც, ფილმებისა და რეჟისორების დევნის, „პერსონა ნონ გრატად“ გამოცხადებისა და სიკვდილით მუქარაში გამოიხატა. პრობლემა დღეს განსაკუთრებით მასშტაბურია უკრაინაში რუსული „დერჟავას“ მხრიდან წარმოებული ომის პირობებში.

2022 წლის 30 ივნისია. ზუსტად ოთხი თვე გავიდა უკრაინაში რუსეთის მეორე ომის დაწყებიდან. მსოფლიოს საზოგადოების ყურადღება მთლიანად მოცულია ამ პრობლემებით და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აქტიურადაა ჩართული მათი სასიკეთოდ მოგვარების საქმეში, რასაც გმირი ერის გამარჯვება, „ბოროტების იმპერიის“ საბოლოოდ დამარცხება და ბარბაროსებისგან ცივილიზებული სამყაროს გათავისუფლება უნდა მოჰყვეს.

საქართველოში რუსეთის ძალადობის ისტორია საბჭოთა კავშირის შექმნამდე, გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის შემდეგ, იწყება და დღემდე გრძელდება. ამ საკითხს არ ჩავუღრმავდები. ერთს კი ვიტყვი, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პოლიტიკური ასპექტები თავისთავად და ხელოვნებაშიც აღბეჭდვის მხრივ, სხვადასხვა დროს განსხვავებული იყო. ავტორები არც ისტორიის გაყალბებას ერიდებოდნენ (ეს, რა გასაკვირია, როდესაც თავად ისტორიკოსები წერდნენ ფალსიფიცირებულ ისტორიას), იდეოლოგიის, ცენზურის დირექტივების მიხედვით მოქმედებდნენ და ნაკლებად, საკუთარი მრწამსისა თუ შეხედულებებიდან გამომდინარე, თვით დოკუმენტურ (ფსევდოდოკუმენტურ) ნაწარმოებებშიც კი, რომლებსაც სინამდვილის ჩვენებაზე აქვთ პრეტენზია.

1991, 1992-1993 და 2008 წლებში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში რუსეთის მიერ წარმოებული ომების, ჩვენი ტერიტორიების 20 პროცენტის ოკუპირების, ჩეჩნეთის ორი ომის შემდეგ, 2014 წელს, ვლადიმერ პუტინის რეჟიმმა უკრაინის დაპყრობა და მისი მიწების მითვისება დაიწყო. ყირიმის, ლუგანსკის, დონეცკის, დონბასის ანექსია მოახდინა. და დღეს მთელი ქვეყნის განადგურებას გეგმავს.

საქართველოს უახლეს ისტორიაზე ქართულ კი-

ნოს რეაგირება რამდენიმე წლით დააგვიანდა. რეჟისორების ყურადღება აფხაზეთისა თუ თბილისის ომების მიმართ (რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს სახელმწიფოსა და საზოგადოების ბედზე) 2005 წლიდან იწყება, თუმცა, სათანადო აქტივობით, მაინც ნაკლებად. ეს ფილმებია – ლევან თუთბერიძის „გასეირნება ყარაბაღში“, ვანო ბურდულის „კონფლიქტის ზონა“, გიორგი ოვაშვილის „გაღმა ნაპირი“, „სიმინდის კუნძული“, ზაზა ურუშაძის „მანდარინები“, რუსუდან გლურჯიძის „სხვისი სახლი“, ირანელ მოჰსენ მაჰმალბაფის „პრეზიდენტი“. შემდეგ, 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ – თამარ შავგულიძის „დაბადებულები საქართველოში“, ამერიკელ რენი ჰარლინის „აგვის-ტოს ხუთი დღე“, დიტო ცინცაძის „შინდისი“, თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური „აგვისტოს ომი“ და რამდენიმე სხვა.

2008 წელს ახალგაზრდა ლატვიელმა პოლიტოლოგმა, ისტორიკოსმა და რეჟისორმა, ედვინს შნორემ გადაიღო სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური კინოსურათი, ისტორიული დოკუმენტი, „საბჭოეთის ისტორია“. ფილმი, რომელიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც უჩვენეს და ურთიერთსაპირისპირო რეაქცია გამოიწვია.

ისტორიკოსმა ალექსანდრ დიუკოვმა (რომელმაც ტიპური ბოლშევიკური მეთოდით, ომი გამოუცხადა „საბჭოეთის ისტორიას“ და მის წინააღმდეგ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა) საგანგებო კონფერენციაზე თქვა: „ფილმში „საბჭოეთის ისტორია“ შეგნებულადაა არეული ცნებები – საბჭოთა, რუსული და ნაციზმი. ჩვენი ქვეყანა წარმოდგენილია, როგორც სსრკ-ის მემკვიდრე, ხოლო საბჭოთა კავშირი – როგორც ნაცისტურ გერმანიაზე გაცილებით საშინელი ტოტალიტარული სახელმწიფო. ყველაფერი ეს იქცევა მძლავრ იდეოლოგიურ იარაღად რუსეთის წინააღმდეგ. ფილმი შემზარავი და საშინელი სანახაობაა, რომელიც ადამიანის ფსიქიკაზე მოქმედებს... სიუჟეტი, აწყობილი საეჭვო ფაქტებსა და დოკუმენტებზე, ლატვიასთან მხოლოდ ირიბადაა დაკავშირებული. „საბჭოეთის ისტორიის“ მთავარი თემებია – „ენკავედეს“ თანამშრომლობა გესტაპოსთან, ხელოვნურად შექმნილი შიმშილობა (ჰოლოდომორი) უკრაინაში და სამედიცინო ექსპერიმენტები, რომლებსაც „გულაგის“ სისტემის პატიმრებზე ატარებდნენ“.[1]

ედვინს შნორეს ფილმს უწოდეს: პროპაგანდისტული, ფსევდოისტორიული, დაკვეთილი, სიცრუე, ფალსიფიკაცია, რევანშისტული, პასუხი რუსი რეჟისორის, ბორის ჩერტკოვის ფილმზე „ნაციზმი ბალტიისპირულად“ (2006), ლატვიელი ნაციონალისტების შესახებ და ნაციონალისტური... საბჭოთა პროპაგანდისტული კინოს ანალოგიური (!).

რეჟისორის ფოტოები, სახრჩობელაზე ჩამოკიდებული ფიტული და ფილმის „დივიდი“ ჩანაწერები მოსკოვში, ლატვიის საელჩოსთან დაწვეს „ახალგაზრდა ნაციონალისტებმა“, „პაპების“ ქმედების გასასამართლებლად, მისაჩქმალად, თუ თანამედროვე რუსეთის „დერჟავას“ ნებისმიერი ძალადობისა და სისასტიკის მხარდასაჭერად.

„ჰიტლერის შემდეგ თქვენ აღადგინეთ წიგნების, როგორც შუა საუკუნეებში, კოცონზე დაწვის ტრადიცია... საკუთარი თვალით ვნახე საბჭოთა ბიბლიოთეკებში წიგნების, თქვენი გაგზავნილი, უზარმაზარი სიები, რომლებიც სასწრაფო და ულაპარაკო განადგურებას ექვემდებარებიან“. ესაა ამონარიდი თეოდორ რასკოლნიკოვის (ერთ-ერთი პირველი ბოლშევიკი, პარტიული ლიდერი, დიპლომატი, რომელიც ერთ-ერთი პირველი დაუპირისპირდა სტალინის პოლიტიკურ კურსს), ცნობილი „ღია წერილიდან სტალინს“.[2]

ერთ-ერთ ინტერვიუში (რომელიც დღეს, როგორც წინამორბედი ციტირების წყარო, საიტზე დაბლოკილია) ჟურნალისტის კითხვაზე: „თქვენ, ალბათ, განიცადეთ თავდასხმები? – ედვინს შნორე პასუხობს: კერძოდ, ასეთი, რომ „იგი უნდა მივახვრიტოთ“. მოსკოველი ისტორიკოსი, ალექსანდრე დიუკოვი თავის ინტერნეტ-დღიურში წერს: „მშვიდი ადამიანი ვარ, მაგრამ ფილმის 2/3-ის ნახვის შემდეგ ერთი სურვილი მქონდა: მომეკლა რეჟისორი და დამეწვა ლატვიის საელჩო“.[3]

რუსეთში აგრესია გამოხატეს ევროპარლამენტის მისამართითაც, რადგან „საბჭოეთის ისტორია“ მისი დაკვეთითა და დაფინანსებით შეიქმნა. ვფიქრობ, ნაცნობი ვითარებაა.

უკრაინაში ამჟამად მიმდინარე ომმა კი, კიდევ

1 Dukov, kursom: 2008.

2 Раскольников, Открытое 1988. № 26 с. 313-320.

3 Shnore, polemics, 2008.

ერთხელ დაამტკიცა, რომ თანამედროვე რუსეთი არა მხოლოდ ნაცისტურ გერმანიაზე, არამედ თვით საბჭოთა კავშირზეც კი, გაცილებით საშიში, შემზარავი და სასტიკი ქვეყანაა, რომელიც უახლოეს მომავალში ბევრად უფრო სასტიკად და შეუბრალებლად აგებს პასუხს ყველაფერზე, რასაც ჩადის.

ედვინს შნორე თანამედროვე რუსეთის სახეს ისტორიული მასალის, საბჭოთა დოკუმენტებისა და ფაქტების ამსახველი ქრონიკისა და ფოტოების გამოყენებით, მეტაფორულად აჩვენებს (რაც ფილმს ისტორიზმის მნიშვნელობას, ცხადია, არ უკარგავს).

2014 წელს უკრაინელმა რეჟისორმა, სერგეი ლოზნიცამ, მაშინ თანამედროვე მოვლენების ქრონიკების და დღეს, ერთი მხრივ, უკვე ისტორიად ქცეული, თუმცა თანამედროვედ მჟღერი რეპორტაჟების, „იუთუბ“ არხსა თუ სხვა სოციალურ ქსელებში ატვირთული ვიდეოჩანაწერების მიხედვით, ააწყო მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი, „დონბასი“, რომელიც, დღეს უკრაინაში მიმდინარე მოვლენების თანადროულადაც იქცევა და ზუსტად გამოხატავს, რაც მაშინ ხდებოდა და დღესაც გრძელდება, უბრალოდ, უფრო დიდ მასშტაბში.

ისტორია „დონბასის“ შემთხვევაშიც გამეორდა. ფილმისა და რეჟისორის წინააღმდეგ ბრძოლა სხვადასხვა ფრონტზე გაიშალა. პრესა, ტელევიზია, ინტერნეტსაიტები, ბლოგები და ა.შ. გაივსო რუსი პოლიტიკოსების, საზოგადოების წარმომადგენლების, ჟურნალისტების, პოლიტოლოგების, ანალიტიკოსების, ექსპერტების გამოსვლების ჩანაწერებითა და წერილებმა, რომლებშიც „დონბასი“, ისევე, როგორც თავის დროზე „საბჭოეთის ისტორია“ (როგორც ეს მიღებული და აღიარებული იყო საბჭოთა ტოტალიტარიზმის დროს) სხვადასხვა ფორმითა და ხარისხით, „გაანადგურეს“, როგორც ტყუილი, ფალსიფიკაცია და მიზანმიმართული პროვოკაცია რუსეთის წინააღმდეგ.

გოგი გვახარია 2022 წლის 28 იანვარს, უკრაინაში რუსეთის მეორე ომის დაწყებამდე ერთი თვით ადრე (როდესაც სამყარო ამ ომის მოლოდინში იყო) წერდა: „დონბასი“ ის რეალობაა, რომლის არსებობის არც ახლა სჯერათ ვიღაც-ვიღაცებს. შესაბამისად, სერგეი ლოზნიცას ტენდენციურობაში სდებენ ბრალს. თავის პოლიტიკურ კინოპამფლეტში ავტორს არ ერიდება პირდაპირ გვითხრას, რომ დიახაც, რუსეთი ოკუპანტია და უკრაინის მიწები მიტაცებული აქვს. ამას აღიარებს და იწყებს ბარბაროსობის კვლევას. არა იმდენად ამ კონკრეტული ომის, რამდენადაც სწორედაც რომ ბარბაროსობის. ცდილობს, გაერკვეს, საიდან იბადება ეს ძალადობა, რაღაც ბუნებრივია თუ ისტორიული პროცესის შედეგია? რუსული პოლიტიკის ნაწილია თუ ზოგადად, სიხარბისა და ველურობის მორიგი შეტევაა თავისუფლებაზე? ამ კითხვებს სვამს სერგეი ლოზნიცა თავის დოკუმენტურ-მხატვრულ სპექტაკლში. უფრო სწორად, სპექტაკლად ქცეულ ისტორიაში, რომელსაც ჩვენ აქაც, ისევე როგორც ლოზნიცას სხვა ფილმებს, დისტანციიდან ვუყურებთ. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ რეჟისორი კვლავაც თავისი ხელწერის ერთგულია – სეპარატისტთა ცხოვრებას გამოხატავს გრძელ, სტატიკურ კადრებში, რომლებიც თანამედროვეობის უდიდესი ოპერატორის, ოლეგ მუტუს ოსტატობით უზარმაზარ, გაშლილ სივრცეს მოიცავს“.[4]

რუსეთის რეაქცია ნამდვილად მწვავე იყო, რაც მოასწავებს, რომ არავითარ მონანიებაზე, არავითარ სინანულზე, წუხილზე სხვა ადამიანების ბედისა და საკუთარი ქვეყნის მხრიდან კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულების გამო არც შეიძლება ვიფიქროთ. რაც ისედაც ნათელი იყო, მაგრამ შემდგომ წლებში და დღეს „ბოროტების იმპერიის“ მიზნები და რეალური გეგმები კიდევ და უფრო ძალადობრივი გზითა და სასტიკი ფორმით გამოიხატა.

საბჭოეთი და საბჭოთა ბოლშევიკური და, პირველ რიგში, ნეობოლშევიკური რუსეთი, როგორიც დღესაა, მართლაც, გლობალური პრობლემაა და ამაში, თანამედროვე ევროპაც (ყოველ შემთხვევაში, მისი ის ნაწილი, რომელსაც „საბჭოეთის სისასტიკის მითის“ დღემდე „არ სჯეროდა“) თანდათან რწმუნდება. შესაბამისად რეაგირებს და მოქმედებს.

„დონბასსა“ და „საბჭოეთის ისტორიაში“ ერთ მოვლენას მეორე ცვლის, ერთი სისასტიკე – მეორეს, ერთ დანაშაულს სხვა მოსდევს, მეორეს – მესამე და ა.შ. მთელი საბჭოთა კავშირის ისტორიის განმავლობაში და მის შემდგომაც დღეს უკრაინაში.

„დოკუმენტური სიზუსტით ასახული ამბები ამა-

4 გვახარია, უკრაინა, 2022.

ვე დროს, სრული სიგიჟეა (ლოზნიცას გროტესკული, შავი და მოღუშული იუმორი მხოლოდ აძლიერებს ამ ამბების აბსურდულობას), კაფკიანური რეალობაა, იმის წარმოდგენა, თუ როგორი შეიძლება იყოს საზოგადოება, რომელიც იხრჩობა სისასტიკეში, სიგიჟესა და კორუფციაში, როგორი შეიძლება იყოს სამყარო, სადაც ყველა ღირებულება გადმობრუნებულია, დამნაშავეები – დაუსჯელები, სადაც ტერორი, სადიზმი და დამცირება ცხოვრების შემადგენელი ნაწილი გახდა, როგორი შეიძლება იყოს ჯოჯოხეთი".[5]

„დონბასში" 13 რეალური ამბავია ნაჩვენები, რომლებიც აღმოსავლეთ უკრაინაში, 2014 წელს და მალე-ვე ხდება. ფრაგმენტები რეალური ადამიანების ცხოვრებიდან, რომლებსაც რეჟისორი რეალობის მისეული ანარეკლის დასაფიქსირებლად იყენებს.

ზემოთ მოყვანილ წერილში, თეოდორ რასკოლნიკოვი წერს: „...ეძიეთ და ჰპოვეთ „განტევების ვაცები" – ჩასჩურჩულებთ თქვენთან დაახლოებულ პირებს და შეპყრობილ, სამსხვერპლოზე მიყვანილთ თქვენ საკუთარ ცოდვებს ახვევთ თავს. თქვენ შებოჭეთ ქვეყანა ტერორის შემზარავი შიშებით, თვით მამაცსაც არ შეუძლია პირდაპირ მოგახალოთ სიმართლე... მაგრამ საბჭოთა ხალხმა მშვენივრად იცის, რომ ყველაფერზე თქვენ აგებთ პასუხს - „საყოველთაო ბედნიერების მჭედელი".

... თქვენი შეშლილი ბაკქანალია არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. უსაზღვროა თქვენი დანაშაულების რიცხვი. უსაზღვროა თქვენს მსხვერპლთა რიცხვი. არ არსებობს მათი ჩამოთვლის შესაძლებლობა".[6]

უკრაინის რადიო „თავისუფლების" ჟურნალისტ დენის ტიმოშენკოსთან ინტერვიუში სერგეი ლოზნიცა ამბობს: „პრინციპში, მაინტერესებს ზღვარი დოკუმენტურ და მხატვრულ კინოს შორის. როდესაც დოკუმენტურ კინოსურათს ვიღებ, ვიღებ ისე, როგორც მხატვრულ ფილმებს იღებენ. ვაწყობ, ვმართავ, სტრუქტურას ვაყალიბებ. ძალიან არ მაინტერესებს, რაც გარშემო ხდება – მაინტერესებს იდეა, რომელსაც მივდევ".[7]

ნაღმები, რომლებსაც რუსეთის ხელისუფლება საბჭოთა კავშირში და დღეს, საქართველოში, უკრაინაში (სულ ახლახან, ჯერ სიტყვიერი მუქარით ლიეტუვას წინააღმდეგ) მეთოდურად აფეთქებდა და კაცობრიობას თავს ატეხდა: რეპრესიებს, მასობრივ მკვლელობებს, დახვრეტებს, ციხეებს, შიმშილობას, საკონცენტრაციო ბანაკებს, ეროვნული, რელიგიური თუ პოლიტიკური ნიშნით ანგარიშსწორებას, დანაშაულებრივ გარიგებებს, ერების განადგურებას (რასაც უკრაინაში, პოლონეთსა და ლატვიაში 20 მილიონი ადამიანი შესწირეს), ძალადობას ბავშვებზე, ქალებზე, მოხუცებზე – კვლავ მოქმედებაშია, მათ „ვადა" არ გასვლიათ, რადგან რუსეთის პოლიტიკაში და, რაც მთავარია, საზოგადოების (და არამხოლოდ ხელისუფლების) მენტალიტეტში ბევრი არაფერი შეცვლილა.

„რაც უკრაინაში მოხდა, შეიძლება მომხდარიყო ყველგან, მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, დასაშვებობის სხვადასხვა წილით, ყველგან! 25 წლის განმავლობაში ძალიან შორსაც არ გაგვიცურავს იმ ყველაფრისგან, რაშიც საბჭოთა კავშირში ვიყავით ჩაფლული. ჩვენ დღემდე ზურგით ვათრევთ ყველა ამ ჯაჭვს, რომლებიც ისევ უკან გვექაჩებიან", – ამბობს ზემოთ ხსენებულ ინტერვიუში სერგეი ლოზნიცა.[8].

რუსეთის მხეცობების, დანაშაულის, არაადამიანობის, სისასტიკის ისტორია დღესაც გრძელდება, თანამედროვე რუსეთის ნამდვილი სახის ახალ წახნაგებსაც კიდევ ერთხელ ნათლად ვხედავთ სინამდვილეშიც და სერგეი ლოზნიცას მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებშიც – „დონბასი", „ბაბი იარი", „განადგურების ბუნებრივი ისტორია".

უკრაინაში ბოლო ათწლეულში მიმდინარე მოვლენებზე, უკრაინელმა და რეჟისორებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, რამდენიმე გამორჩეული (როგორც სათქმელისა და მოქალაქეობრივი პოზიციის, ისტორიული, ასევე მხატვრული ღირებულების მხრივ) სადადგმო და დოკუმენტური ფილმი გადაიღეს: სერგეი ლოზნიცამ „მაიდანი" (2014), ევგენი ტიტორენკომ „ომი მშვიდობისთვის" (2015), ახტემ სეიტაბაევმა „კიბორგები" (2016), ვალენტინ ვასიანოვიჩმა „ატლანტიდა" (2020), მაქსიმ ნაკონეჩნიმ „პეპლის მოჩვენება" (2021), კლერ ვალდინგმა „ომი ევროპაში

5 დასახელებული ნაშრომი, გვახარია. 2022
6 დასახელებული წერილი, Раскольников, 1988
7 Тимошенко, Лозница: 2018
8 დასახელებული ინტერვიუ, Тимошенко, 2018.

– უკრაინის ტრაგედია“ (დიდი ბრიტანეთი, 2022). უკრაინის ომზე დოკუმენტურ ფილმზე მუშაობს ქართველი მიხეილ ჭიაურელი და სხვა კინოხელოვანები, რომლებიც ამ გლობალური მასშტაბის მოვლენამ გულგრილი არ დატოვა.

ომი არც მშვიდობიანი მოსახლეობისა და მეომრებისა და არც კინო და ტელეხელოვანებისთვის აღმოჩნდა პირდაპირი მნიშვნელობით უსაფრთხო. მარიუპოლში, გადაღებების დროს დაიღუპა ლიეტუველი რეჟისორი, მანტას კვედრავიჩუსი, ცნობილი ფილმის „მარიუპოლისი“ (2016) ავტორი. დოკუმენტურ ფილმზე მუშაობის დროს მოკლეს – ამერიკელი კინორეჟისორი და ჟურნალისტი, ბრენტ რენო, უკრაინელი ტელეოპერატორი, ევჰენი საკუნი და არაერთი სხვა ადამიანი, რომლებიც უკრაინის ომში მოქალაქეობრივსა და პროფესიონალურ მოვალეობას ასრულებდნენ.

ეს რეალური და განხილულ ფილმებში ნაჩვენები ამბები გვაძრწუნებენ არა მხოლოდ წარსულის, არამედ აწმყოსა და მომავლის გამოც და გვიჩვენებენ გზას, საითაც არ უნდა წავიდეს არცერთი ქვეყანა, თუ ის ადამიანებისგან შედგება.

მთავარი კი, ყველას წინ გველოდება, როდესაც ომი დასრულდება, უკრაინაში მშვიდობა დაისადგურებს, ახალი აღმშენებლობა დაიწყება. დღეს, 2022 წლის ივნისის მიწურულს, ამის მოლოდინში ვართ.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გვახარია გ., უკრაინა და ბარბაროსები, რადიო „თავისუფლება“ იანვარი 28, 2022, https://www.radiotavisupleba.ge/a/31676121.html. ბოლოს ნანახია 202, 25 მაისი.
- Shnore, http://actualhistory.ru/polemics-interv-shnore, 2008. ბოლოს ნანახია 2020/ ამჟამად დაბლოკილია.
- Dukov, http://www.stoletie.ru/politika/kursom/2008-06-06.htm. ბოლოს ნანახია 2018. ამჟამად დაბლოკილია.
- Раскольников Ф., Открытое письмо Сталину https://scepsis.net/library/id_446.html. Опубликовано: «Новая Россия» 1939г., также см. Неделя. 1988. № 26 и в кн.: Открывая новые страницы... Международные вопросы: события и люди / Сост. Н.В. Попов – М.: Политиздат, 1989. – с. 313-320. ბოლოს ნანახია 2022, 15 ივნისი.
- Тимошенко Д., Лозница: Донбасс – явление, которое могло возникнуть на постсоветском пространстве всюду, 16 жовтня 2018, 08:00б Радіо Свобода опублікувало цей матеріал у рамках спецпроекту для жителів окупованої частини Донбасу), https://www.radiosvoboda.org/a/donbass-realii/29545202.html. ბოლოს ნანახია 2022, 16 ივნისი.

RUSSIAN TERROR FROM SOVIET UNION TO "DONBASS"

Lela Ochiauri

Keywords: *Soviet terror, Stalin, War, Violence, Russia, Ukraine*

There are cases in the history of culture when even an independent work of art (and not, say, trends, directions or periods) creates a panorama of the epoch, a large-scale picture of events, when it becomes a generalized model of them and thus acquires special significance. These include, for example, Pablo Picasso's "Guernica," Mikheil Javakhishvili's "Jako's Refugees," Charlie Chaplin's "The Great Dictator," Robert Wiene's "The Cabinet of Dr. Caligari," Rainer-Werner Fassbinder's "Maria Brown," and others.

Such works of art go beyond specific frameworks, are not perceived and or considered just as films, paintings or prose, because the existing boundaries cannot accommodate the words, problems, concepts within them and everything moves to another scale.

Such cases include young Latvian political scientist, historian and director Edvīns Šnore's well-known feature film, a historical document in a film format, a research-analysis, "Soviet History" (2008), documentary by Ukrainian director Sergei Loznitsa, a feature and documentary film "Donbass" (2018), an exciting work in many ways.

We cannot analyze these works of art only as films or talk about them just as an "independent creative product" because of the reflection of reality, problems, historical and modern context; and, at the same time, according to the sharp and aggressive reaction of the Russian authorities, which was typical of a totalitarian country with terror, bans, censorship and, moreover, persecution of films and directors, declaration of persona non grata and death threats.

June 30, 2022. Exactly four months have passed since the start of the Second Russian War in Ukraine. The attention of the world community is drawn to the problems related to it and, with rare exceptions, is actively involved in solving them positively, which should lead to the victory of the heroic nation, the final defeat of the Evil Empire and the liberation of the civilized world from the barbarians.

The history of Russian violence in Georgia begins before the creation of the Soviet Union, after the signing of the Treaty of Georgievsk, and continues to this day. I will not delve into this issue. I will only say that the political aspects of the Russian-Georgian relationship, and in terms of being captured in art, were different at different times. Many authors did not shy away from falsifying history either (which is not surprising as historians themselves wrote falsified history). They acted according to the existing ideology, censorship directives, and to a lesser extent, based on their own beliefs and opinions, even in documentary (pseudo-documentary) works that claim to show the "truth".

In 2014, after gaining independence in 1991, after Russia's wars of 1992-1993 and 2008 with Georgia, after the occupation of 20% of our territories, and after two wars in Chechnya, Vladimir Putin's regime invaded Ukraine and appropriate its lands. He annexed Crimea, Luhansk, Donetsk, Donbass. And today he is planning to destroy the entire Ukraine.

The reaction of Georgian cinema to the recent history of Georgia was delayed by several years. Film Directors' attention to the wars in Abkhazia and Tbilisi (which had a significant impact on the fate of the state and society) begins in 2005, though with lower, inadequate intensity. These films are Levan Tutberidze's "A Trip to Karabagh"; Vano Burduli's "Conflict Zone"; Giorgi Ovashvili's "The Other Bank", and "Corn Island"; Zaza Urushadze's "Tangerines"; Rusudan Glurjidze's "House of Others"; Iranian director, Mohsen Makhmalbaf's "President". Then come

films about the August 2008 war: "Born in Georgia" by Tamar Shavgulidze; "Five Days of August" by American Rennie Harlin; "Shindisi" by Dito Tsintsadze; documentary "War of August" by Toma Chagelishvili and several others.

In 2008, young Latvian political scientist, historian and director Edvīns Šnore made a full-length documentary film, a historical document, "History of the Soviet Union". The film, which was shown in many countries of the world, including Georgia, and stirred a controversy.

Historian Aleksandr Dyukov (who, using typical Bolshevik method, declared war on "Soviet history" and led the movement against it) said at a special conference: "The terms Soviet, Russian and Nazism are deliberately mixed in the film 'Soviet History'. Our country is presented as the successor of the USSR, and the Soviet Union is depicted as a totalitarian state, much worse than Nazi Germany. All this becomes a powerful ideological weapon against Russia. The film is a terrifying show that affects the psyche.... The story, built on dubious facts and documents, is only indirectly related to Latvia. The main topics of 'Soviet History' are NKVD (Soviet secret police agency, a forerunner of the KGB) cooperation with the Gestapo, artificially created famine (Holodomor) in Ukraine and medical experiments conducted on prisoners of the 'Gulag' system".[1]

Edvīns Šnore's film has been called propagandistic, pseudo-historical, commissioned, false, falsified, revanchist; as a response to Russian director Boris Chertkov's film "Nazism, Baltic-Style" (2006); as a film about Latvian nationalists and nationalists in general... like the Soviet propaganda cinema (!).

Photos of the director, a stuffed animal hanging from a strangler, and DVD recordings of the movie were burned near the Latvian embassy in Moscow by "young nationalists" to justify the actions of their "grandpas", to appease for their crimes, or to support any violence and cruelty of the modern Russian "Derzhava" (Superpower).

"After Hitler, you revived the tradition of burning books at the stake, as they did in the Middle Ages... I saw with my own eyes the huge lists of books you sent to Soviet libraries, which were subject to immediate and unspoken destruction."[2]

This is an excerpt from the famous "Open Letter to Stalin" by Theodor Raskolnikov (one of the first Bolsheviks, a party leader and diplomat, who was one of the first to oppose Stalin's political course).

In one of the interviews (which today, as a source of previous citations, is blocked on the website) to the journalist's question: "You probably experienced attacks?", Edwins Šnore answers: "We have to shoot him".

Moscow historian Alexander Dyukov in his Internet blog write the following about the film: "I am a peaceful person, but after watching 2/3 of the film I had only one wish, to kill the director and burn down the Latvian embassy." [3]

In Russia, aggression was also expressed toward the European Parliament, because the film "History of the Soviet Union" was created with its support. I think it is a familiar situation.

The current war in Ukraine reiterates that modern Russia is a much more dangerous, terrifying and cruel country than not only Nazi Germany, but even the Soviet Union. And soon it will have to account much more severely and mercilessly for everything it does.

Edvins Šnore metaphorically shows the image of modern Russia using historical materials, Soviet documents and chronicles and photos depicting facts (which, of course, does not deprive the film of the importance of historicism).

In 2014, Ukrainian director Sergei Loznitsa, based on the videos (the chronicles of current events at that time and loud reports for nowadays) uploaded to YouTube and other social networks, made a feature-documentary, "Donbass", also contemporary to the events in Ukraine today, accurately expressing what was happening then and continues today, simply, but on a larger scale.

History repeated itself in the case of "Donbass" as well. The fight against the film and its director unfolded on different fronts: print, television, websites, blogs, etc. It was filled with recorded speeches by Russian politicians, public figures, journalists, political scientists, analysts, and experts.

The articles cursed "Donbas", as well as "Soviet

1 Dyukov, On Course; 2008.
2 Raskholnikov., Open, Открытое, 1988. № 26 pp. 313-320
3 Shnore, polemics, 2008,

history" (as it was accepted and recognized during Soviet totalitarianism) in various forms and degrees. They called the films lies, falsifications and deliberate provocations against Russia.

On January 28, 2022, a month before second Russian war in Ukraine (when the world was expecting the beginning of the war), Gogi Gvakharia wrote about the film "Donbass": "Donbass is a reality the existence of which is still not believed by some people. Therefore, Sergei Loznitsa is accused of bias. In his political film/pamphlet, the author does not shy away from directly telling us that yes, Russia is the occupier and has seized Ukrainian lands. He admits this and starts researching barbarism, not so much of this war, but in general. He tries to find out where this violence comes from. Is it something natural or is it the result of a historical process? Is it part of Russian politics or is it another attack on freedom by greed and savagery in general? Sergey Loznitsa asks these questions in his documentary-fiction performance, or in the other words in history turned to performance that we watch from distance like the other films by Loznitsa. The director is still faithful to his style expressing the life of separatists in long, static footages that cover a vast, open space thanks to the skills of Oleg Mutu, the greatest cinematographer of our time."[4]

Russia's reaction was bitter, which reminds us that we cannot even think about any repentance, any regret, any concern for the fate of other people and crimes committed against humanity by this country. What was already clear, but later, over the years and today, the goals and real plans of the "Empire of Evil" have been expressed in an even more violent and brutal manner.

The Soviet Union and Soviet Bolshevik and, first of all, neo-Bolshevik Russia, as it is today, is truly a global problem, and modern Europe (at least the part of it that "did not believe" in the "myth of Soviet brutality" untill now) is gradually becoming convinced of this, reacting and acting accordingly.

In the films "Donbass" and "Soviet History", one event is replaced by another, one atrocity is followed by another, one crime is followed by another, another is followed by a third, and so on, throughout the entire history of the Soviet Union and beyond. Today the same happens in Ukraine.

"The stories, presented with documentary accuracy, are at the same time complete madness (Loznitsa's grotesque, black and grim humor only enhances the absurdity of this news). It is a Kafkaesque reality to imagine what a society drowning in cruelty, madness and corruption might be like; it is turning into the world, where all values are turned upside down; where criminals are unpunished; where terror, sadism and insulting is becoming a life-style; this is how the hell looks."[5]

The film "Donbass" tells us about 13 real stories that took place in Eastern Ukraine in 2014 and soon after. Fragments from the lives of real people, which the director uses to capture the desired reflection of reality.

In the letter above, Theodore Raskolnikov writes: "... seek and find "scapegoats," this is what you whisper to those standing close to you, and you try to burden with your own sins those who are sacrificed on altar. You have bound the country with terrible fears of terror. Even the brave people are not able to say the truth directly.... But the Soviet people do know very well that the responsibility for everything lays on you, those who are 'the blacksmith of universal happiness'.

"... Your crazy bacchanalia cannot last long. The number of your crimes is infinite. The number of your victims is enormous. There is no way to list them."[6]

In an interview to Ukrainian Radio Liberty journalist Denis Tymoshenko, Sergei Loznitsa says: "I, in principle, am interested in the border between documentary and fiction. When I shoot a documentary, I shoot it like a feature film: I arrange, I manage, I design a structure. I'm not too interested in what's going on around me, I'm interested in the idea I'm pursuing."[7]

Mines that the Russian government methodically detonated in the Soviet Union, damaging humanity, such as repressions, mass murders, shootings, prisons, starvation, concentration camps, national, religious or political reprisals, criminal deals, destruction of nations, violence against children, women and the elderly (they sacrificed

4 Gvakharia, Ukraine, 2022
5 Gvakharia, m.I, 2022.
6 Raskholnikov, m.I., 1988.
7 Timoshenko, Loznitsa, m.i. 2018.

20 million people in Ukraine, Poland and Latvia), are still active and the date has not expired yet, because nothing much has changed in Russian politics and, most importantly, in the mentality of Russian society (and not only the government).

"What happened in Ukraine could have happened anywhere, in the entire post-Soviet area, with different degrees of admissibility, everywhere! For 25 years, we have not drifted too far from everything we were immersed in in the Soviet Union. To this day, we are still dragging all these chains behind us, which are pulling us back again," says Sergey Loznitsa in the above-mentioned interview.[8]

The history of brutality, crime, inhumanity and cruelty of Russia continues even today. We can once again clearly see the new facets of the real face of modern Russia, both in reality and in Sergei Loznitsa's feature and documentary films: "Donbass", "Babi Yar", "Natural History of Destruction".

On the events in Ukraine in the last decade, Ukrainians and directors from different countries of the world have made several outstanding (both in terms of content and civic position, historical and artistic value) feature and documentary films: Sergei Loznitsa - "Maidan" (2014); Evgeny Titorenko - "War for Peace" (2015); Akhtem Seitablaiev "Cyborgs" (2016); Valentyn Vasyanovych "Atlantida" (2020); Maxim Nakonechny - " Bachenny Metelika " (2021); Claire Walding - "War in Europe – Drama in Ukraine" (UK, 2022). Mikheil Chiaureli and other Georgian film-makers who were not left indifferent by this global event are also working on a documentary about the war in Ukraine.

Film and television directors were among the civilians and warriors who suffered from the war in Ukraine. Lithuanian director Mantas Kvedravicius, the author of the famous movie "Mariopolis" (2016), died during the shooting in Mariupol. American filmmaker and journalist Brent Reno, Ukrainian TV cameraman Yevheniy Sakun were killed while working on a documentary film; and many others who performed their civic and professional duties in the Ukrainian war.

These real-life and filmed stories shake us not only about the past, but also about the present and the future, and show us the way no country should go if it is made up of people. But the main story is waiting for all of us. When the war ends, peace will finally come to Ukraine, and new reconstructions will begin. Today, by the end of June 2022, we are all longing for it.

REFERENCES:

- Gvakharia G., Ukraine and Barbarians, Radio Frredom. 28. I. 2022, https://www.radiotavisupleba.ge/a/31676121.html.
- Shnore E, Polemics, http://actualhistory.ru/polemics-interv-shnore, 2008. Now is blocked.
- Dukov, http://www.stoletie.ru/politika/kursom/2008-06-06.htm. Now is blocked.
- Raskholnikov F., Open Letter to Stalin, New Russia, 1939.
- Timoshenko D. Loznitsa – Donbass – Everywhere can Happen in Postsovietic Area,, 2018, https://www.radiosvoboda.org/a/donbass-realii/29545202.html.

8 Ibid.